

# შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია



## 1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: საბაჟო დეკლარირება
პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ

<p><b>მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:</b></p> <p><b>მინიმალური : 10      მაქსიმალური: 20</b></p>
<p><b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:</b> მინიმუმ საბაზო განათლება</p>
<p><b>პროგრამის მიზნები:</b> საბაზო დეკლარირების სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში, შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება, ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში, ასევე, დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება, გადასახდელებისა და გარანტიის გამოთვლა.</p>
<p><b>სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)</b></p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საბაზო დეკლარაციის შევსება შესაბამისი სისტემის მოდულში;</li> <li>2. ცვლილებების შეტანა დარეგისტრირებულ დეკლარაციაში;</li> <li>3. დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება;</li> <li>4. გადასახდელებისა და გარანტიის გამოთვლა</li> </ol>
<p><b>პროგრამის შემუშავების საფუძველი:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ 2019 წლის 11 ოქტომბრის №2/161 ბრძანებით დამტკიცებული „საბაზო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.</li> </ol>
<p><b>პროგრამის მოკლე აღწერა:</b> პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს <b>მინიმუმ საბაზო განათლება</b> და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს თეორიული ცოდნა / უნარები საბაზო დეკლარირების პროგრამის ფარგლებში, სადაც შეისწავლის მონაცემების შეტანას დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში, შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირებას, ცვლილებების შეტანას დეკლარირებულ მონაცემებში, ასევე, დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმებას, გადასახდელებისა და გარანტიის გამოთვლას.</p> <p>მომზადების პროგრამის მოცულობა 120 საათია, შეფასებას დაეთმობა 4 საათი. პროგრამა განხორციელდება 8 კვირის განმავლობაში, კვირეული დატვირთვა 15სთ, პროგრამა განხორციელდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ე.წ. B გარემოში. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა.</p> <p>პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებით; შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;</li> <li>ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა</li> </ol> <p><b>პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით.</b></p>

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> <li>დეკლარირების მოდულთან მუშაობა,</li> <li>კლასიფიკატორი, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები: E-Customs, Oracle, ASYCUDAWorld</li> <li>დეკლარირების კლასიფიკატორი, საქონლის ექსპორტიორის/იმპორტიორის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, ტელეფონი)</li> </ul>	1	15	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
2	<ul style="list-style-type: none"> <li>სასაქონლო ოპერაციის კოდი: სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე, სატრანსპორტო საშუალება ქვეყანაში, საქონლის აღწერილობა, დამატებითი დოკუმენტაციის კოდები, გაფორმების ადგილები</li> </ul>	1	15	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
3	საბაჟო გამშვები პუნქტების კოდები, გადაზიდვაზე უფლებამოსილი პირი, ბრუტო და ნეტო წონა, სეს ესნის კოდი, საბაჟო ღირებულება, საბაჟო გადასახდელები.	1	15	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
4	<ul style="list-style-type: none"> <li>დეკლარაციისათვის C რეგისტრაციის ნომრის მინიჭება</li> <li>რეგისტრაციის მომენტის მნიშვნელობა დეკლარაციის იურიდიული მიზნით გამოსაყენებლად,</li> </ul>	1	15	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B

	კონფიდენციალური და არაკონფიდენციალური ინფორმაცია						
5	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგადასახადო ორგანოს ინიციატივით საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა საქონლის გაშვებამდე;</li> <li>• დეკლარანტის ინიციატივით საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა საქონლის გაშვებამდე და გაშვების შემდეგ;</li> <li>• საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომელმაც უნდა შეიტანოს ცვლილება დეკლარაციაში;</li> <li>• განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია;</li> <li>• დეკლარაციის მაიდენტიფიცირებელი ნომრისა და თარიღის სწორად მითითება;</li> <li>• დეკლარაციაში ცვლილების შეტანისათვის აუცილებელი მტკიცებულებების მითითება განცხადებაში;</li> <li>• წერილობითი ან ელექტრონული განცხადება</li> </ul>	2	7	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება;</li> <li>• დეკლარაციის გაუქმების შემთხვევები საქონლის გაშვებამდე და გაშვების შემდეგ;</li> <li>• საქონლის განკარგვის ღონისძიებები; განცხადება დეკლარაციის გაუქმების შესახებ;</li> <li>• საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომელმაც უნდა გააუქმოს დეკლარაცია;</li> <li>• განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია;</li> </ul>	3	8	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	სასწავლო გარემო B

	<ul style="list-style-type: none"> <li>დეკლარაციის მაიდენტიფიცირებელი ნომრისა და თარიღის სწორად მითითება;</li> <li>დეკლარაციის გაუქმებისათვის აუცილებელი მტკიცებულებების მითითება გაუქმების განცხადებაში.</li> </ul>					
6	<ul style="list-style-type: none"> <li>გადასახდლების გამოთვლა იმპორტის დროს;</li> <li>გადასახდლების გამოთვლა გადამუშავების დროს,</li> </ul>	4	15	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
7	<ul style="list-style-type: none"> <li>გადასახდლების გამოთვლა დროებითი შემოტანის დროს;</li> <li>გარანტიის გამოთვლა გადამუშავების და დროებითი შემოტანის დროს;</li> </ul>	4	15	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
8	<ul style="list-style-type: none"> <li>გამოსავლიანობის ნორმის შედგენა;</li> <li>თანხის გადახდის განრიგის შედგენა.</li> </ul>	4	11	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	სასწავლო გარემო B
	შეფასება	1-4	4		პრაქტიკული დავალება (1,2,4) პრაქტიკული დავალება დაკვირვებით(3 სწავლის შედეგი)	სასწავლო გარემო B

**3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან**

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული გადამზადების პროგრამა : საბაჟო საქმე	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
საბაჟო დეკლარირება 0411608	2.საბაჟო დეკლარაციის შევსება შესაბამის სისტემის მოდულში 3.ცვლილებების შეტანა დარეგისტრირებულ დეკლარაციაში 4.დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება
სასაქონლო ოპერაციები და საბაჟო გადასახდლები 0411607	8.გადასახდლებისა და გარანტიის გამოთვლა